ვაშა თქვენ, კოსმოსის გმირებო!

ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ფრენა წარმატებით დამთავრდა

ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 144 (12656) | ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კოსმოსური ხომალდები დაეშვნენ დედამიწაზე

საკავშირო ცნობა

ერთად ფრენა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდისა „აღმოსავლეთი-6“, რომელსაც მართავდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი სსრ კავშირის მოქალაქე ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა და კოსმოსური თანამგზავრი ხომალდისა „აღმოსავლეთი-5“, რომელსაც მართავდა კოსმონავტი სსრ კავშირის მოქალაქე ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი, წარმატებით დამთავრდა.

ერთად ფრენის პროგრამის შესაბამისად 1963 წლის 19 ივნისს ხომალდები „აღმოსავლეთი-6“ და „აღმოსავლეთი-5“ დაეშვნენ მიწაზე საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონებში.

ხომალდი „აღმოსავლეთი-6“ დაჯდა გაანგარიშებული 49-ე გარშემოვლის დროს 11 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით 620 კილომეტრზე ქალაქ ყარაღანდის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ამის შემდეგ გაანგარიშებული 82-ე გარშემოვლის დროს 14 საათსა და 06 წუთზე დაჯდა ხომალდი „აღმოსავლეთი-5“ 540 კილომეტრზე ქალაქ ყარაღანდის ჩრდილო-დასავლეთით.

გაანგარიშების შესაბამისად ორივე კოსმოსური ხომალდი მიწაზე დაეშვა ერთ განედზე — 53 გრადუსისა.

მიწაზე დაშვების ადგილას, გმირ-კოსმონავტებს შეხვდნენ ძირდაშვების უზრუნველყოფის ჯგუფები, მეგობრები, ექიმები, ჟურნალისტები და სპორტული კომისრები.

კოსმონავტები ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა და ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი თავს კარგად გრძნობენ.

შრომისა და გონების გამარჯვება

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ხალხებს! ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს! მთელ პროგრესულ კაცობრიობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვა

ბრწყინვალე წარმატებით დამთავრდა კიდევ ერთი გრანდიოზული კოსმოსური ეპოპეა. გმირმა საბჭოთა კოსმონავტებმა ამხანაგებმა ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკიმ და ვალენტინა ვლადიმერის ასულმა ტერეშკოვამ შესანიშნავი თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ განახორციელეს მრავალი დღის კოსმოსური ერთად ფრენა და მშვიდობით დაეშვნენ ჩვენი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე.

1963 წლის 14 ივნისს ორბიტაზე გაუვანილმა თანამგზავრმა. ხომალდმა „აღმოსავლეთი-5“, რომელსაც მართავდა საბჭოთა ხალხის მამაცი შვილი, კომუნისტი ამხანაგი ბიკოვსკი, 119 საათში 81-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და გაიარა 3 მილიონ 300 ათას კილომეტრზე მეტი.

1963 წლის 16 ივნისს, როცა ილეოდა მეორე დღე კოსმოსში თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთი-5“ ყოფნისა, რომელსაც კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბიკოვსკი მართავდა, ვარსკვლავეთის გზებზე გაუვანილ იქნა თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-6“, რომელსაც მართავდა საბჭოთა ხალხის გმირი ქალიშვილი, კომუნისტი ამხანაგი ტერეშკოვა.

თანამგზავრმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-6“, რომელსაც მართავდა ამხანაგი ტერეშკოვა, 71 საათში 48-ჯერ შემოუფრინა ჩვენს პლანეტას და გაიარა დაახლოებით 2 მილიონი კილომეტრი.

კოსმოსში ამ შესანიშნავმა ფრენამ გააფართოვა ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ, ერთხელ კიდევ დაამტკიცა საიმედოობა და სრულყოფილება ჩვენი კოსმოსური ხომალდებისა, რომლებიც შექმნეს ნიჭიერმა საბჭოთა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა. კოსმოსში ადამიანის უმაგალითო ხანგრძლივობის ყოფნამ გაამდიდრა მეცნიერება ახალი მონაცემებით, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სამყაროს შორეულ სივრცეებში მომავალი გაფრენისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის.

თანამგზავრი ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ახალი ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენა საბჭოთა ადამიანის — კოსმოსური ერის პირველადმფრენის შრომის, აზრისა და გონების სახელოვანი გამარჯვებაა, კოლოსალური მეცნიერულ-ტექნიკური წარმატებაა. საბჭოთა ადამიანების ეს შემართებითი გაფრენა კოსმოსში, ისევე როგორც ყველა წინა გაფრენა, საბჭოთა ხალხის ტიტანური ძალის, ნიჭისა და გენიის ცოცხალი განსახიერებაა, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა მკაფიო დემონსტრაციაა. ახლანდელი დიდებული გამარჯვება, რაც მოპოვებულია კოსმოსის ათვისებისათვის ბრძოლაში, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით ფრთაშესხმული საბჭოთა ადამიანების უმაგალითო ვაჟკაცობისა და სიმამაცის ნიმუშია.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ აამოქმედა ხალხის მძლავრი ძალები, აღაფრთოვანა იგი დიადი საგმირო საქმეებისათვის. საბჭოთა ეკონომიკის მიღწევები, მეცნიერულ-ტექნიკური აზრის სწრაფი აღმაფრენა, კაპიტალიზმთან წარმატებითი ეკონომიური შეჯიბრება, ახალი ადამიანის ზრდა — ყოველივე დიადი და მშვენიერი, რაც საბჭოთა მიწაწყალზეა შექმნილი, ჩვენ და ყველა ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობარს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფად, სოციალისტური წყობილების გამარჯვებად მიგვაჩნია.

სულ უფრო შორს და ღრმად სწვდება კოსმოსის საიდუმლოებებს საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი აზრი, მას სულ უფრო უახლოვდებიან შორეული პლანეტები და ვარსკვლავები. ყოველი ახალი ტრასა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა გაკვალეს კოსმოსში, მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა მტკიცედ ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის ათვისებისათვის ბრძოლაში.

ამ სასიხარულო და საზეიმო უამს საბჭოთა ადამიანები დიდი სიამაყისა და აღტაცების გრძნობით იხსენებენ, რომ სწორედ ჩვენი თანამემამულენი პირველნი შეიჭრნენ კოსმოსურ სივრცეებში, რომ ჩვენს მიწა-წყალზე დაიწყო კოსმოსური ერის დილა. საბჭოთა კავშირმა პირველმა გაიყვანა ორბიტაზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, პირველმა მიიტანა სსრ კავშირის ალამი მთვარეზე, პირველმა გაუშვა კოსმოსში თანამგზავრი ხომალდები ცხოველებითურთ, პირველმა გაგზავნა ადამიანი ჯერ კიდევ გამოუცნობი კოსმოსური გზებით და მოიპოვა დიადი გამარჯვებანი, რომლებსაც ტაშს უკრავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

დღეს საბჭოთა ხალხი კოსმოსის მგრძელი ათვისების სახელოვან მატიანეში კოსმონავტ მფრინავებთან, კოსმოსური ხომალდების მეთაურებთან იური გაგარინთან, გერმანე ტიტოვთან, ანდრიან ნიკოლაევთან და პაველ პოპოვიჩთან ერთად ოქროს ასოებით წერს ახალ სახელებს — ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას სახელებს.

წარმატებით დამთავრებული ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენა აღსანიშნავია იმითაც, რომ თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთი-6“ მეთაური იყო ჩვენი სამშობლოს გმირი ქალიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ამხანაგი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა. ამხანაგ ტერეშკოვას გმირობამ გაამრავლა საბჭოთა ქალების — დაუცხრომელი შრომელების, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის აქტიური მებრძოლების, კომუნიზმის მშენებლების დიდება.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შვილებმა ამხანაგებმა ბიკოვსკიმ და ტერეშკოვამ გამოიჩინეს კოსმონავტების ნამდვილი გმირობა და უნაკლო ოსტატობა, გაბედულად და უშიშრად მიჰყავდათ შესანიშნავი კოსმოსური ხომალდები კოსმოსური ტრასებით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ამაყობენ თქვენით, ძვირფასო ამხანაგებო ბიკოვსკი და ტელეშკოვა.

კოსმონავტმა მფრინავებმა, მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა, ყველამ, ვინც მონაწილეობა მიიღო დიდებული თანამგზავრი ხომალდების შექმნასა და მრავალი დღის კოსმოსური ფრენის განხორციელებაში, ნაყოფიერად იშრომეს ესოდენ რთული ფრენის წარმატებისათვის, პირნათლად მოიხადეს თავიანთი მაღალი ვალი სამშობლოს წინაშე.

ექვს წელზე ნაკლები გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, მაგრამ რაოდენ დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა ქვეყანამ კოსმოსური სივრცის ათვისების გზაზე. საბჭოთა კავშირისა და მისი გმირი ხალხის ყველა მიღწევა კოსმოსის შესწავლისა და ათვისების დარგში ხმარდება კაცობრიობის პროგრესს, ქვეყნად მშვიდობის დიად საქმეს. ჩვენი წითელვარსკვლავიანი თანამგზავრი ხომალდები დედამიწის გარშემო დაფრინავენ როგორც მშვიდობის მაცნენი, როგორც განსახიერება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი მისწრაფებებისა.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყნის მთავრობებს, ჩვენი პლანეტის ყველა ხალხს ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება, შეუპოვრად იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის. დაე ადამიანის გენიის უდიდესი მიღწევები და მეცნიერული აღმოჩენები მშვიდობის კეთილშობილურ საქმეს ხმარდებოდეს.

საბჭოთა ხალხი გმირული შრომით აშენებს კომუნიზმის ნათელ შენობას, დაუცხრომლად განამტკიცებს თავისი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებში ჩქეფს ახალი სამყაროს მილიონობით მშენებლის ბუჯითი შემოქმედებითი შრომა. მამაცი კოსმონავტების ამხანაგების ბიკოვსკისა და ტერეშკოვას გმირობა აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობაში.

დიდება საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

დიდება კოსმოსის გმირ დამპყრობთ!

წინ, მშვიდობისა და პროგრესის საქმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1963 წლის 19 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებისა „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. იუსუპოვი (ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ა. მ. ტოკარევი (სკკპ კუიბიშევის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ა. ი. აჯუბეი (გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი), ვ. ა. სეროვი (რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი), ზ. ნ. ნურიევი (სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ა. ვ. რომანოვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ფ. ა. ტაბეევი (სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ტ. ნ. ხრენიკოვი (სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი), ვ. ე. ჩერნიშევი (სკკპ ზღვისპირეთის სამრეწველო სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი).

მეუხარე. ხანგრძლივი ტაში, მისალმების შეძახილები გაისმა, როცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმის მონაწილეებს აცნობა, რომ მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა ქალმა ვალენტინა ვლადიმერის ასულმა ტერეშკოვამ და კოსმონავტმა ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკიმ წარმატებით დამთავრეს ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პროგრამა და მშვიდობით დაეშვნენ გათვალისწინებულ რაიონში.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ე. ა. ფურცევა (სსრ კავშირის კულტურის მინისტრი), ბ. ბ. გოროდოვიკოვი (სკკპ ყალმუხეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ა. ა. ეპიშევი (საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი), ს. კ. ტოკა (სკკპ ტუვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადება

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1963 წლის იანვარში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე შეიტანა წინადადება, რომ შეწყვეტილიყო ღია პოლემიკა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში. ამ წინადადებას ფართოდ დაუჭირეს მხარი მოძმე პარტიებმა. ამა წლის 9 მარტს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან მიიღო წერილი, რომელშიც იგი ეთანხმებოდა ჩვენს წინადადებებს, რომ შეწყვეტილიყო ღია პოლემიკა და მოგვეწყო სკკპ და ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამა წლის 30 მარტს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც პოზიტიური ფორმით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი მომავალ ორმხრივ შეხვედრასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, ასეთმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ორი პარტიის უკეთეს ურთიერთგაგებას თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებში, ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას იმისათვის, რომ მომზადდეს და მოიწყოს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილში ხაზგასმულია, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ და თანამიმდევრულად დაიცვას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პლატფორმა, მისი საერთო გეზი, რაც გამოხატულია მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოსკოვის თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პროგრამული დოკუმენტების სრული შესაბამისობით ამა წლის 30 მარტის წერილში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი თანამედროვეობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს — დავძლიოთ არსებული უთანხმოება აზრთა ამხანაგური გაზიარების გზით, მთელი ღონისძიებანი მოვახმაროთ იმას, რომ გამოვნახოთ გზები ყველა მოძმე პარტიის ერთობის განსამტკიცებლად, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

1963 წლის 15 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ამხ. პან ძი-ლი მიიღეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა. ელჩმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გადასცა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კიდევ ერთი წერილი 14 ივნისისა. ამ წერილში თვითნებურად განმარტებულია მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოსკოვის თათბირების დეკლარაცია და განცხადება, დამახინჯებულია ამ ისტორიული დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი დებულებანი და გამოთქმულია დაუსაბუთებელი, თავდასხმები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებზე. ყოველივე ეს დიდად სამწუხაროა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის 14 ივნისის წერილის გამოქვეყნება ამჟამად საბჭოთა პრესაში მოითხოვდა საჯარო პასუხს, რასაც მობუყვებოდა პოლემიკის შემდგომი გამწვავება, არ იქნებოდა მიღწეული შეთანხმების შესაბამისი და ეწინააღმდეგება მოძმე პარტიათა აზრს ამ საკითხზე. ეს მით უფრო არ უნდა მოხდეს, რომ ამა წლის 5 ივლისს განზრახულია სკკპ და ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ გამოთქვამს იმედს, რომ ჩინელი ამხანაგები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის მზად იქნებიან მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რაც ერთიანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომპარტიას, ყველა მოძმე პარტიას მათ დიად ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელ დედამიწაზე.

მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ კოსმონავტების ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენის განხორციელებაში

საბჭოთა კოსმონავტებს

ამხანაგ ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკის

ამხანაგ ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო თანამემამულენო!

ამ დღეებში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა კოსმოსური სივრცის ათვისების ისტორიაში, გადაიდგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის მიერ სამყაროს საიდუმლოებათა გამოცნობაში.

საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებულ სიხარულსა და სიამაყეს იწვევს ის, რომ ამჯერადაც ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენა რთულ პირობებში თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ განახორციელეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეებმა ამხანაგმა ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკიმ და ამხანაგმა ვალენტინა ვლადიმერის ასულმა ტერეშკოვამ.

უმაგალითოა თავისი მნიშვნელობით კოსმონავტების ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას გმირობა. ხანგრძლივი ერთად ფრენის დროს კოსმონავტებმა ამხანაგებმა ბიკოვსკიმ და ტერეშკოვამ შეასრულეს მეცნიერული კვლევის ვრცელი პროგრამა, ახალი შესანიშნავი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში, კაცობრობა მუდამ სიამაყით წარმოთქვამს საბჭოთა კოსმონავტი გმირების იური გაგარინის, გერმანე ტიტოვის, ანდრიან ნიკოლაევის, პაველ პოპოვიჩის, ვალერი ბიკოვსკისა და მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას სახელებს.

სულით და გულით გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი და ვალენტინა ვლადიმერის ასულო ტერეშკოვა, ახალი კოსმოსური ერთად ფრენის წარმატებით დამთავრებას. სამშობლო ამაყობს თქვენი დიდი გმირობით, რამაც გაამრავლა საბჭოთა ხალხის დიდება და გამდიდრა მეცნიერება.

თანამგზავრმა ხომალდებმა „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“, რომლებიც შექმნეს ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა, წარმატებით გაუძღვეს ყველა სიძნელეს კოსმოსური ფრენის ურთულეს პირობებში. მთელი ფრენის განმავლობაში ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ აპარატურა ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობდა.

კოსმონავტების ამხანაგების ბიკოვსკისა და ტერეშკოვას უმაგალითო გმირობამ ახალი ძალით გამოავლინა საბჭოთა ხალხის — მებრძოლი ხალხის, მშრომელი ხალხის გენია. მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ დამაჯერებლად და თვალნათლივ გადაიშალა სოციალისტური წყობილების დაუშრეტელი უპირატესობანი კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით, გამოვლინდა ჩვენი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერება და სიდიადე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, მედიცინის მუშაკებს — ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო თანამგზავრი ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ შექმნაში, კოსმოსური ერთად ფრენის მომზადებასა და წარმატებით განხორციელებაში.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს — შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შემქმნელებს!

დიდება სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებს!

დიდება გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

გმირული ფრენით ასახელეს სამშობლო

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ტელეფონით ვალენტინა ტერეშკოვასთან

19 ივნისს 15 საათზე და 10 წუთზე მოსკოვის დროით მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის ვ. ვ. ტერეშკოვას მიწაზე დაშვების ადგილიდან ტელეფონით დარეკეს კრემლში, სადაც მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა, და აცნობეს, რომ ტელეფონთან არის ვალენტინა ტერეშკოვა და ხურს მოახსენოს თავისი კოსმოსური ფრენის დამთავრება.

ტელეფონთან მივიდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ტელეფონით ამ საუბრის ჩანაწერს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ალო, გამარჯობათ, ვალია!

ვ. ვ. ტერეშკოვა. ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მოგახსენებთ: მრავალი გარშემოვლის ფრენა წარმატებით დამთავრდა. ფრენის დავალება მთლიანად შეკასრულე. მიწაზე დაეშვა გათვალისწინებულ რაიონში, სოფლის მახლობლად. ტრავმა და დაუჟეულობა არა მაქვს. თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ძლიერ მოხარული ვარ მოგესალმოთ თქვენ. აქ არიან ამხანაგები ბრეჟნევი, მიკოიანი, კოსიგინი, შვერნიკი — ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრი. ყველანი ჩვენ ძალიან მოხარული ვართ და მოგესალმებით და გილოცავთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობის მამაცურად შესრულებას. თქვენი ფრენით სახელი მოუხვეჭეთ ჩვენს სამშობლოს, კიდევ უფრო მაღლა აიყვანეთ საბჭოთა ქალი.

ვ. ვ. ტერეშკოვა. გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ, გმადლობთ გულთბილი სიტყვებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხმა კი მხნე გაქვთ, თითქოს წვეულებიდან მოსულიყვეთ.

ვ. ვ. ტერეშკოვა. მოგეხსენებათ, ძალიან გულთბილად შემხვდნენ მცხოვრებნი, რუსულად შემხვდნენ პურ-მარილით. კარგად გამომასპინძლდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ესე იგი პურ-მარილით შეგხვდნენ და უკვე გაგიმასპინძლდნენ?

ვ. ვ. ტერეშკოვა. დიახ, გამომასპინძლდნენ უკვე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კარგია.

ვ. ვ. ტერეშკოვა. კარგად დავეშვი მიწაზე, ვაკე მინდორი იყო. თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასე რომ არავითარი ნაკაწრი არა გაქვთ?

ვ. ვ. ტერეშკოვა. მხოლოდ ცხვირი მაქვს დალურჯებული.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ცხვირი მაინც გაქვთ დალურჯებული?

ვ. ვ. ტერეშკოვა. არა უშავს არა, გაივლის!

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, გაივლის! ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ ყველაფერი რიგზეა. გაგისინჯონ ექიმებმა, დაისვენეთ. მოსკოვში რომ ჩამოფრინდებით, იცით, დიდ ნადიმს გაგიმართავთ, ღირსეულად შეგხვდებით.

ვ. ვ. ტერეშკოვა. სულით და გულით გეწირავთ დიდ მადლობას ზრუნვისათვის, ძალიან კარგად მესმოდა კოსმოსში თქვენი ლაპარაკი, კავშირი კარგი იყო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მეც კარგად მესმოდა თქვენი სიტყვები და ტელევიზიით ვნახე. რომ თქვენი სახე გაბრწყინებული იყო. ეს ჩვენ გვამხნევებდა, ვხედავდით, რომ კარგად იტანთ ფრენას, ხართ კარგ ფორმაში, როგორც სპორტსმენები იტყვიან ხოლმე. თქვენ, ალბათ, ახლა უნდა დაისვენოთ?

ვ. ვ. ტერეშკოვა. დიახ, ექიმებმა ჩამჭიდეს ხელი, წამიყვანეს დასასვენებლად.

ერთხელ კიდევ გიძღვნით დიდ მადლობას, ნიკიტა სერგის-ძევ. გადაეცით ჩემი დიდი სალამი და ჩემი მეგობრების სალამი მთავრობის ყველა წევრს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გმადლობთ, ჩვენ ამას პლენუმზე ვიტყვით. ახლა შესვენებაა, 4 საათზე კი სხდომა იწყება.

ვ. ვ. ტერეშკოვა. დიდი მადლობა პლენუმისაგან მოლოცვისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი, პლენუმი დიდი სიხარულით მოგესალმათ თქვენ. ხოლო როცა მიწაზე დაეშვით, და ჩვენ ეს ვთქვით, პლენუმის მონაწილენი ფეხზე ადგნენ და მოგესალმნენ, გამოხატეს თავიანთი აღტაცება თქვენი ფრენის მშვიდობით დამთავრებასთან დაკავშირებით.

ვ. ვ. ტერეშკოვა. დიდი მადლობა, გმადლობთ!

ნ. ს. ხრუშჩოვი. ნახვამდის, ვალენტინა ვლადიმერის ასულო!

ვ. ვ. ტერეშკოვა. ნახვამდის, ნიკიტა სერგის-ძევ!



ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ტელეფონით ვ. თ. ბიკოვსკისთან

19 ივნისს 16 საათსა და 48 წუთზე გაიმართა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი კოსმონავტ ვ. თ. ბიკოვსკისთან მისი მიწაზე დაშვების შემდეგ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის ჩანაწერს.

ვ. თ. ბიკოვსკი. ნიკიტა სერგის-ძევ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ: კოსმონავტი-ფრინავი პოდპოლკოვნიკი ბიკოვსკი მშვიდობით დაეშვა ჩვენს მშობლიურ მიწაზე. ტრავმა და დაუჟეულობა არა მაქვს, თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გილოცავთ, ვალერი თევდორეს-ძევ, ესოდენ ბრწყინვალე ფრენის მშვიდობით დამთავრებას და გიძღვნით მადლობას იმისათვის, რომ გმირული ფრენით განადიდეთ ჩვენი სამშობლო. ეს დიდი წვლილია ჩვენს საქმეში, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის საქმეში. ხალხი ძლიერ ამაყობს თქვენით. ჩვენ, პოეტებმა, ვარსკვლავურ სიმღლეზე უნდა ავწიოთ ჩვენი შემოქმედება გმირი ხალხის საკეთილდღეოდ.

კეთილი იყოს თქვენი მშვიდობით დაბრუნება, კოსმოსის არწივებო!

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ტელეფონით ვ. თ. ბიკოვსკისთან

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 18 მარტს

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 143).

ლიტერატურა და ხელოვნება საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილია.

გავიხსენოთ, რა გულისწყრომით ილაშქრებდა ვ. ი. ლენინი იდეოლოგიაში უცხო ტენდენციების წინააღმდეგ, რა სარკაზმით ესხმოდა თავს ობივატელურ დოყლაპიობასა და ლიბერალურ მანილოველობას ხელოვნების ხელმძღვანელობაში. პარტია ლენინური პრინციპების ერთგულია, იგი გადაჭრით აღმოფხვრის უნებისყოფობასა და უპასუხისმგებლობას იდეურ საკითხებში. საჭიროა, რომ არასოდეს არ შეიქმნას იდეური დაუცველობის ატმოსფერო იმათთვის, ვინც იცავს სწორ პოზიციებს და, პირიქით, იდეური დაუსჯელობის ატმოსფერო იმათთვის, ვინც ქადაგებს ჩვენი იდეოლოგიისათვის უცხო შეხედულებებს.

ერთ დროს პიროვნების კულტის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ცალკეული შემოქმედებითი მუშაკები საერთოდ ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ საჭირო იყოს ხელოვნების პარტიული ხელმძღვანელობა, ირონიულად ეკიდებოდნენ ხელოვანის საზოგადოებრივი მოვალეობისა და ლიტერატურის და ხელოვნების აღმზრდელობითი მისიის ყოველგვარ ხსენებას.

თავის მხრივ, ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რომლებმაც პოლიტიკური სიმახვილე დაკარგეს, შეურიგდა აშკარად არასწორ ტენდენციებს, ფარხმალი დაყარა დემაგოგების წინაშე იმის შიშით, რომ რეტროგრადად და კონსერვატორად მონათლავდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში რცხვენოდათ კიდევაც წარმოეთქვათ: „სოციალისტური რეალიზმი“, „პარტიულობა“, „ხალხურობა“, „იდეურობა“.

პარტია მწვავედ აკრიტიკებს ლიტერატორებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს, სწორ გზას ასცდნენ. იდეოლოგიის საკითხებში არ შეიძლება იყოს დათმობა და კომპრომისი. მაგრამ ყველას გვახსოვს, რომ საქმე ეხება საბჭოთა ხელოვანებს, როგორც წესი, პოლიტიკურად მახლობელ ადამიანებს, ამოცანა ის კი არ არის, რომ „მოვკვეთოთ“ ისინი, არამედ ის, რომ დავეხმაროთ შეიგნონ თავიანთი იდეურ-მხატვრული შეცდომები, მთლიანად მოახმაროონ თავიანთი ნიჭი ხალხის სამსახურს, კომუნიზმის საქმეს. ჩვენი პარტიის პოლიტიკას არ შეესაბამება, რომ შემოქმედებითი მუშაკები, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს, უიმედოთა და გამოუსწორებელთა თანრიგში ჩარიცხონ.

საჭიროა უარი ვთქვათ ყოველგვარ წინასწარ აკვიატებულ აზრზე, გვახსოვდეს, რომ ბრძოლა წარმოებს არა ადამიანთა წინააღმდეგ, არამედ ადამიანებისათვის, ცუდი იდეების წინააღმდეგ.

ამავე დროს იმათ, ვისაც იმედი აქვს, რომ ბრძოლა იდეური მერყეობისა და დამახინჯებათა წინააღმდეგ „დროებითი“ კამპანიაა, რომელიც მალე დამთავრდება, რომ „ყველაფერი დავიწყებას მიეცემა“, რომ ჯერჯერობით შეიძლება თავის შეფარება და წაყრუება, ჩვენ ვეუბნებით: არ გამოგივათ! საქმე ეხება სერიოზულ ვითარებას, პარტია აწარმოებს არა კამპანიას, არამედ თანმიმდევრულ ბრძოლას ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის მხატვრული შემოქმედების ყველა დარგში. და არც ერთ პატიოსან საბჭოთა ხელოვანს არ შეუძლია დღეს შეასრულოს ერთგვარი „გარეშე მეთვალყურის“ როლი, ჩაიკეტოს თავის ნაჯუჯში, და მით უმეტეს ჯიუტად დაიცვას თავისი შეცდომები, ეძებოს თანაგრძნობა, შესჩივლოს ჩამორჩენილ და ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს.

მწერალი, მხატვარი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი მუშაკია, იგი ცხოვრებას მიჰყვება, ადამიანთა სულისა და გულის მკვლევარია.

ჩვენში კი შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, კინოს მოღვაწეები გაერთიანებული არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულ კავშირებად და უნდათ თუ არა — ვიწრო პროფესიული ინტერესების ქვაბში უნდა იხარშებოდნენ. როგორც ჩანს, საჭიროა მხარი დავუჭიროთ კულტურის ბევრი მოღვაწის წინადადებას მხატვრული ინტელიგენციის რაზმების „ამქრული“ გათიშულობის დაძლევისა და იმის შესახებ, რომ მთელი შემოქმედებითი ძალები გაერთიანდნენ შემოქმედებით მუშაკთა ერთიან კავშირად. მხატვრულ ფასეულობათა შექმნის თვით ბუნება, ძირეული იდეურ-შემოქმედებითი ინტერესების ერთიანობა გვიკარნახებს, რომ საჭიროა შემოქმედებითი ძალების გაერთიანება, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს ხელოვნების დაახლოებას ხალხის ცხოვრებასთან.

ცოტა დრომ განვლო მარტის შეხვედრის შემდეგ, მაგრამ უკვე დღეს ვხედავთ, თუ როგორ შეიცვალა ვითარება თვით შემოქმედებითს ორგანიზაციებში, როგორ ამაღლდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა აქტივობა. საბჭოთა კულტურის მოღვაწეებმა ერთსულოვნად და მხურვალედ დაუჭირეს მხარი მხატვრულ შემოქმედებაში მცდარი ტენდენციების კრიტიკას. მათ დაინახეს, რომ ეს კრიტიკა ახალი გამოვლენებაა პარტიის ზრუნვისა ხალხის სულიერ სიმდიდრეთა გამრავლებისათვის, საბჭოთა საზოგადოების მხატვრული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

პარტიის ზრუნვას ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია საქმით უპასუხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ ასმა საბჭოთა მწერალმა „პრავდის“ ფურცლებზე გაგვაცნო თავისი მუშაობა და შემოქმედებითი გეგმები. ეს არის მწერალთა კოლექტიური პატაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი, ჩვენი პარტიისადმი.

ეჭვი არ არის, როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა ლიტერატორები, კომპოზიტორები, მხატვრები, კინოსა და თეატრის მოღვაწეები შექმნიან კომუნიზმის მშენებლობის დიადი ეპოქის შესაფერ ახალ ნაწარმოებებს.

IV.

პარტიული ხელმძღვანელობა იდეოლოგიური მუშაობის წარმატების საფუძველია

ამხანაგებო! ლენინიზმი მტკიცე მეცნიერულ საძირკველს უქმნის საზოგადოების ხელმძღვანელობას, პარტიის მთელ პოლიტიკას, ზუსტად განსაზღვრავს საზოგადოების მეცნიერული ხელმძღვანელობის პრინციპებს.

როგორია ეს პრინციპები?

— უწინარეს ყოვლისა, ღრმა რწმენა ხალხისადმი როგორც ისტორიის ნამდვილი შემოქმედისადმი, იმის უნარი, რომ ააგოს პოლიტიკური ხაზი მასების ინტერესების შესაბამისად.

მეცნიერულად რომ ვუხელმძღვანელოთ საზოგადოებას, არ კმარა ვიცოდეთ საზოგადოებრივი განვითარების კანონები, საჭიროა აგრეთვე ვსარგებლობდეთ მასების უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით. ურღვევი კავშირი მასებთან, ზრუნვა მშრომელთა ინტერესებისათვის პარტიის საქმიანობის უმაღლესი კანონია. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, პარტიის პოლიტიკის დაუცხრომელი განმარტება და განხორციელება, პოლიტიკური ხაზის მუდმივი შემოწმება მასების გამოცდილებით მეცნიერული ხელმძღვანელობის აუცილებელი მოთხოვნაა. ამ პრინციპისაგან გადახვევა სუბიექტივიზმსა და ავანტიურიზმს იწვევს.

— მეორე, კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა საზოგადოებრივი პროცესებისადმი, ვითარების ზუსტი გათვალისწინება, იმის უნარი, რომ გამოჰყოს მთავარი რგოლი მოვლენათა ჯაჭვში და სწორად განსაზღვროს ძალთა განლაგება.

კონკრეტული სინამდვილის კონკრეტული ანალიზი ლენინიზმის თვით არსია, მისი ცოცხალი სულია. თუ არ იქნება ასეთი ანალიზი, არ იქნება მეცნიერული პოლიტიკა. პოლიტიკაში არაფერია უფრო საშიში, ვიდრე ცდა უგულებელყონ რეალური შესაძლებლობანი, წუთიერი წარმატებისათვის უგულებელყონ მთავარი, მომენტის ინტერესები დააყენონ მთელი მოძრაობის ინტერესებზე მაღლა, იმის უნარის უქონლობა, რომ სურვილი შეუფარდონ შესაძლებლობებს, ობიექტურ კანონზომიერებებს. რა კეთილი ზრახვებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვინც ასეთ ცდებს მიმართავს, რა სახარბიელო და წარმტაციც უნდა იყოს მათი გეგმები, — ეს არის მხოლოდ ფუჭი მანილოველობა ან ცრუმემარცხენული ავანტიურიზმი.

— მესამე, აღიარება პარტიის ხელმძღვანელი როლის, მისი უფლების და მოვალეობისა წარმართოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესები.

მხოლოდ პარტია გამოხატავს **ყველა** მშრომელის ძირეულ ინტერესებს. მას ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ხალხის ბედისათვის. კომუნიზმი საზოგადოების ორგანიზაციის ყველაზე მაღალი ფორმაა. მისი პრინციპებისადმი უაღრესად მტრულია ანარქიზმი და თავაშვებულობა. კომუნისტური საზოგადოების მთელი სულისკვეთება, თვით არსი მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, დისციპლინიანობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ერთიან ხელმძღვანელობას.

— და, ბოლოს, **გავრცელება მეცნიერული მიდგომისა იმისადმი, რომ გადაიჭრას კომუნისტური მშენებლობის ამოცანები პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა რგოლში თავიდან ბოლომდე.**

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე იზრდება საზოგადოების ყველა წევრის პასუხისმგებლობა მისი საქმეებისათვის. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა, უნარი შემოქმედებითად გამოვიყენოთ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში, მეცნიერულად ავაგოთ მუშაობა — უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა თვითეული კომუნისტისადმი, განსაკუთრებით პარტიის ხელმძღვანელი კადრებისადმი.

პარტია მთელ თავის საქმიანობას, აგრეთვე იდეოლოგიის სფეროშიც, მეცნიერულ საფუძველზე აგებს, მეცნიერულად ხელმძღვანელობს საბჭოთა საზოგადოების განვითარებას.

XXII ყრილობამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ ზუსტად განსაზღვრეს იდეოლოგიური საქმიანობის მიზნები, მიმართულება და ძირითადი ამოცანები. მისი წარმატება ახლა დამოკიდებულია პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონეზე. მსგავსად იმისა, როგორც ყოველი ორგანიზაციულ-სამეურნეო თუ პოლიტიკური ღონისძიება მოითხოვს იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, ზუსტად ასევე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოითხოვს ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობა პარტიის საქმიანობის აუცილებელი პირობაა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში პოლიტიკური მუშაობის დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება შეიძინეს, ნაყოფიერად უხამებენ ერთმანეთს იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ საქმიანობას. პარტიული ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპით გარდაქმნამ კეთილნაყოფიერი შესაძლებლობანი შექმნა ჩვენს ქვეყანაში იდეოლოგიური მუშაობის დონის ასამაღლებლად, მისი კონკრეტულობის, მებრძოლურობისა და ქმედითობის გასაძლიერებლად. მაგრამ არ შეიძლება დავეყრდნოთ თვითდინებას, იმას, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება.

მებრძოლი, კონკრეტული, ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა ადამიანებთან მთავარია პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში.

რამდენი კარგი გადაწყვეტილებაც უნდა მივიღოთ, ისინი კეთილ სურვილებად დარჩება, სანამ მათი რეალიზაციისათვის ბრძოლაში არ ჩაებმება ყველა კომუნისტი და უპარტიო. ამიტომ საჭიროა სრულად გამოვიყენოთ აღმზრდელობით მუშაობაში მშრომელთა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და, პირველ ყოვლისა, საბჭოების, პროფკავშირების, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ძალა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, ვ. ი. ლენინის აზრით, მასები ნამდვილად იწყებენ არა წიგნებით, არამედ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით კომუნისტური მშენებლობის საქმის, ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის შექმნის შესწავლას. საბჭოები მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაციაა, მთელი ხალხის საზოგადოებრივი თვითმმართველობის სკოლაა. და სწორედ მათი ეს როლი განუხრელად გაიზრდება კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის კვალობაზე.

საბჭოების შემადგენლობაში დაახლოებით ორი მილიონი დეპუტატი, ოცი მილიონი აქტივისტია. რა კოლოსალური ძალაა და რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მას კულტურულ მშენებლობაში, ადამიანთა კომუნისტურ აღზრდაში. მთელი საკითხი ის არის, რომ კარგად მოვაწყოთ საბჭოების კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობა, დავრაზმოთ და ავამოქმედოთ საბჭოების გაერთიანებული ძალები ხალხის კულტურის ამაღლებისათვის, ახალი მორალის დამკვიდრებისათვის საბრძოლველად.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

სამოცდაექვს მილიონ კაცს აერთიანებენ **პროფესიული კავშირები.** ვ. ი. ლენინს პროფკავშირები კომუნიზმის სკოლად მიაჩნდა. საბჭოთა პროფკავშირებს ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული, მათ აქვთ დიდი სახსრები და შესაძლებლობანი მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. და, მართლაც, ისინი დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოსაწყობად, ახალი ტექნიკის დასაწერგავად, წარმოების სრულყოფისათვის. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ პროფკავშირთა აღმზრდელობითი ფუნქცია.

საბჭოთა ახალგაზრდობა თავისი ცხოვრების ათ წელიწადს ატარებს **ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის** რიგებში. ოც მილიონზე მეტი კაცია კომკავშირში. იგი დიდ და რთულ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, რათა შეასრულოს ვ. ი. ლენინის ანდერძი, ჩვენი პარტიის მოთხოვნები.

ახალგაზრდობის მუშაკთა შორის შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ნაადრევად დაბერდნენ, აღარ ესმით ახალგაზრდობის დაუოკებელი მგზნებარებაც, დიდი საქმეებისადმი მისი მისწრაფებაც, დაუშრეტელი ცოდნისმოყვარეობა და ცნობისმოყვარეობა. განუწყვეტლივ უნდა სრულვყოთ და მრავალფეროვანი გავხადოთ ახალგაზრდობაზე იდეური ზემოქმედების ფორმები. მეტი ინიციატივა, შემოქმედება, მგზნებარება, მეტი გულითადობა და ყურადღება თვითეული ახალგაზრდისადმი — აი რა არის მთავარი.

პარტიის კურსმა, რომ განვითარდეს საზოგადოებრივი საწყისები, დადებითი შედეგები მოიტანა. აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული არიან მშრომელთა უფროფესიული ფენები. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ შეწყობილად მუშაობდნენ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საბჭოები, კომისიები, რომ მათს მუშაობას წარმართავდნენ და ათანხმებდნენ პარტიული ორგანიზაციები.

იდეოლოგიურ საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარება არათუ არ ამცირებს, არამედ ამაღლებს მოთხოვნებს პარტიული ხელმძღვანელობისადმი.

სადაც შესუსტებულია იდეოლოგიური მუშაობის პარტიული ხელმძღვანელობა, იქ გარდუვალია ხარვეზები იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ცნობილია, რომ მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილებასა და მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებაში მწერლებისა და მხატვრების გარკვეული ნაწილი მისდევდა არა ჯანსაღ ტენდენციებს მხატვრულ შემოქმედებაში, სუსტად იყო დაყენებული იქ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მოსალოდნელი იყო, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო უფრო ენერგიულად უხელმძღვანელებდა, კერძოდ, თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციების რეპერტუარის ჩამოყალიბებას. სამინისტროებს, რომლებიც საშუალო და უმაღლეს განათლებას ხელმძღვანელობენ, აგრეთვე უნდა წავუყენოთ სერიოზული მოთხოვნები. ისინი პასუხს აგებენ ნაკლოვანებებისათვის ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის კანონის განხორციელებაში.

იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისათვის ყველა კომუნისტია პასუხისმგებელი. პარტიაში რომ შედის, კომუნისტი კისრულობს დიდ პასუხისმგებლობას კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპების განხორციელებისათვის.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ პარტიული მუშაკები, იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკები, მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, ესე იგი ყველა ის, ვისაც პარტიამ დაავალა უშუალოდ იმუშაოს მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, აამაღლოს მშრომელთა კულტურა.

პარტიას ესაჭიროება, განსაკუთრებით იდეოლოგიის სფეროში, არა მოხელეები, არამედ მამაცი მებრძოლები კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის. ბიუროკრატს ხშირად ხატავენ ბუხჰალტერის, გულცივი დირექტორის ან უხეში სახლმმართველის სახით. მაგრამ ბიუროკრატი მრავალსახოვანია. იგი ბუდეს იკეთებს აღზრდის ცოცხალ, შემოქმედებითს საქმეშიც. და ასეთი ბიუროკრატი ათასჯერ უფრო საშიშია, რადგან მას შეუძლია სულიერი ზიანი მოუტანოს ადამიანებს.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა, პარტიული შემოქმედების ცოცხალი სულისკვეთება, აი რას მოითხოვს პარტია თავისი იდეოლოგიური კადრებისაგან.

თვითეული კომუნისტი უნდა იყოს პარტიის აქტიური მებრძოლი, მისი იდეების მტკიცე განმახორციელებელი.

ჩვენს პარტიას არავისთვის არ გაუზიარებია და არც გაუზიარებს იდეოლოგიის ხელმძღვანელობას. იგი წარმართავდა და კვლავაც წარმართავს ჩვენი ქვეყნის მთელ იდეურ ცხოვრებას მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაზე დაყრდნობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და სულიერი ბელადია.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი ლენინური პარტიის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე დგას დიდებული და შთამაგონებელი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

იყო ამ მიზნის ღირსი, მისი განხორციელების მონაწილე, — რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი კომუნისტისათვის, საბჭოთა კავშირის მოქალაქისათვის! „გიგანტი ადამიანები“ — ასე თქვა საბჭოთა ხალხზე კუბის რევოლუციის ბელადმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ. მისი შთაგონებული სიტყვები ჩვენს ხალხზე, ჩვენს პარტიაზე, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვზე გულშიჩამწვდომი, გულწრფელი, გმირი კუბის ხალხის გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებია.

საბჭოთა ხალხი დიდ მადლიერებას გამოთქვამს კეთილი, ძმური სიტყვებისათვის, მხურვალე მეგობრობის გრძნობისათვის, რომლებიც ასე გულითადად და აღფრთოვანებულად გაისმა ამხანაგ ფიდელ კასტროს სიტყვებში.

ჩვენ განუმეორებელ დროში ვცხოვრობთ. ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება ის, რაზედაც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები,— შენდება ქვეყანად ყველაზე გონივრული და სამართლიანი, ყველაზე ჰუმანური საზოგადოება — კომუნიზმი. საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომითა და ბრძოლით, მისი დიადი მიღწევებით ახლა თვალნათლივ დამტკიცებულია, რომ კაცობრიობა ნამდვილად გადავიდა, როგორც წინასწარმეტყველებდა ვლადიმერ ილიას-ძე, „განვითარების ახალ სტადიაზე, რომელსაც თან მოაქვს არაჩვეულებრივი ბრწყინვალე შესაძლებლობანი“.

ჩვენი სახელოვანი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი გამოდიან როგორც ეპოქის ნამდვილი გონება, დაუცხრომლად იბრძვიან მშვიდობის და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის. ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები სწორედ იმიტომ ცოფდებიან, რომ გრძნობენ თავიანთ ისტორიულ განწირულობას. ხოლო ჩვენი საქმე, ლენინიზმის საქმე უძლეველია!

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობა, ჩვენი ხალხის დაუშრეტელი რევოლუციური ენერგია კომუნიზმის სრული გამარჯვების საწინდარია!

(ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საღამოს სხდომაზე დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების განხილვა. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა** განაცხადა, რომ მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციამი, ისევე როგორც მთელ ჩვენს პარტიაში, ამ ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა და გაძლიერდა იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა. იგი აღიარა ახალი შინაარსით შემოქმედების ლენინური სულისკვეთებით, მის ცენტრში ადამიანი, მისი შრომა, სულიერი სამყარო. იდეოლოგიური მუშაობის შედეგებს საუკეთესოდ გამოხატავს ადამიანთა კონკრეტული საქმეები, კომუნისტური შრომისათვის მძლავრი მოძრაობა. მარტო მოსკოვში 1.750 ათასი კაცი მონაწილეობს ამ მოძრაობაში. შვიდწლედის ოთხ წელიწადში მოსკოვის მრეწველობის მუშაკებმა მრავალი ასეული მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

ამ ბოლო წლებში მოსკოვში ფართოდ განვითარდა კადრების ეკონომიური მომზადება. პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმულ მილიონზე მეტი მუშა, ათეულ ათასობით ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ეკონომიკის თეორიასა და კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობს.

ნ. გ. ეგორიჩევმა ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც 600 ათასზე მეტი კომუნისტია, და დედაქალაქის კომკავშირი, რომელიც 740 ათას ქალაშვილსა და ჭაბუკს აერთიანებს, უდიდესი ძალაა. იდეოლოგიურ მუშაობას მოსკოვში ეწევა დაახლოებით 400 ათასი პროპაგანდისტი, ლექტორი, აგიტატორი, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელი.

ორატორმა აღნიშნა, რომ ეშმარიტად უდიდესი შესაძლებლობანია დედაქალაქის მცხოვრებთა შორის იდეოლოგიური მუშაობისათვის. მოსკოველებს აქვთ 1.200 ათასი ტელევიზორი, 850 ათასი რადიომიმღები. მილიონნახევარ ოჯახს მომსახურებას უწევს სატრანსლაციო რადიოკვანძი. ქალაქში ვრცელდება 6 მილიონი ცალი გაზეთი და ჟურნალი. ყოველწლიურად იყიდება 90 მილიონი წიგნი. დაახლოებით ნახევარი მილიონი მოსკოველი ყოველდღიურად დადის თეატრებში, კლუბებში, კინოთეატრებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა იმის მდიდარი გამოცდილება, თუ როგორ უნდა ეწეოდეს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მშრომელებში, განსაკუთრებით საცხოვრებელ ადგილებში. ამას წინათ ცნობილ მოსკოველთა ჯგუფმა, მათ შორის თ. ნ. პეტროვამ — პარტიის წევრმა 1896 წლიდან, მრთველმა ვ. მ. პეტრიშჩევამ და მშენებელმა, გ. ი. ლამორკინმა, აკადემიკოსმა კ. ი. სკრიაბინმა, კომპოზიტორმა ტ. ნ. ხრენიკოვმა და სხვებმა გამოაქეყნეს წერილი მოსკოვის პრესაში. მაო მოუწოდეს დედაქალაქის ყველა მცხოვრებს, აგრეთვე საქალაქო მეურნეობის მუშაკებს აქტიურად ჩაებან მოძრაობაში ლოზუნგით: „მშობლიური ქალაქის ყოფაცხოვრებას — მაღალი კულტურა!“ მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას. ახლა ასობით ახალი მოსკოველი ხდება შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობის მონაწილე.

მაგრამ ჩვენი შესაძლებლობანი, თქვა შემდეგ ორატორმა, გაცილებით მეტია და ჩვენ მოვალენი ვართ უფრო აქტიურად ვებრძოლოთ უარყოფით მოვლენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს ცხოვრებაში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან მწვავედ გააკრიტიკეს ზოგიერთი მოსკოველი მხატვარი, მწერალი, კინემატოგრაფისტი. ეს კრიტიკა იყო საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიმართაც. დედაქალაქის კომუნისტებმა საჭირო დასკვნები გამოიტანეს ამ კრიტიკიდან.

საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, მწერლების, მხატვრების, არქიტექტორების, კომპოზიტორების, დედაქალაქის თეატრების, კინოსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოღვაწეების კრებაზე გაიმართა საქმიანი, პრინციპული საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და გაზარდონ მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. დედაქალაქის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ დიდი მადლობა უძღვნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმის გამო, რომ ზრუნავს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, მხურვალედ და ერთსულოვნად

ადამიანებთან მთავარია პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში.

— ეს არის მხოლოდ ფუჭი მანილოველობა ან ცრუმემარცხენული ავანტიურიზმი.

— მესამე, აღიარება პარტიის ხელმძღვანელი როლის, მისი უფლების და მოვალეობისა წარმართოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესები.

მხოლოდ პარტია გამოხატავს **ყველა** მშრომელის ძირეულ ინტერესებს. მას ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ხალხის ბედისათვის. კომუნიზმი საზოგადოების ორგანიზაციის ყველაზე მაღალი ფორმაა. მისი პრინციპებისადმი უაღრესად მტრულია ანარქიზმი და თავაშვებულობა. კომუნისტური საზოგადოების მთელი სულისკვეთება, თვით არსი მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, დისციპლინიანობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ერთიან ხელმძღვანელობას.

— და, ბოლოს, **გავრცელება მეცნიერული მიდგომისა იმისადმი, რომ გადაიჭრას კომუნისტური მშენებლობის ამოცანები პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა რგოლში თავიდან ბოლომდე.**

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე იზრდება საზოგადოების ყველა წევრის პასუხისმგებლობა მისი საქმეებისათვის. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა, უნარი შემოქმედებითად გამოვიყენოთ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში, მეცნიერულად ავაგოთ მუშაობა — უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა თვითეული კომუნისტისადმი, განსაკუთრებით პარტიის ხელმძღვანელი კადრებისადმი.

პარტია მთელ თავის საქმიანობას, აგრეთვე იდეოლოგიის სფეროშიც, მეცნიერულ საფუძველზე აგებს, მეცნიერულად ხელმძღვანელობს საბჭოთა საზოგადოების განვითარებას.

XXII ყრილობამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ ზუსტად განსაზღვრეს იდეოლოგიური საქმიანობის მიზნები, მიმართულება და ძირითადი ამოცანები. მისი წარმატება ახლა დამოკიდებულია პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონეზე. მსგავსად იმისა, როგორც ყოველი ორგანიზაციულ-სამეურნეო თუ პოლიტიკური ღონისძიება მოითხოვს იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, ზუსტად ასევე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოითხოვს ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობა პარტიის საქმიანობის აუცილებელი პირობაა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში პოლიტიკური მუშაობის დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება შეიძინეს, ნაყოფიერად უხამებენ ერთმანეთს იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ საქმიანობას. პარტიული ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპით გარდაქმნამ კეთილნაყოფიერი შესაძლებლობანი შექმნა ჩვენს ქვეყანაში იდეოლოგიური მუშაობის დონის ასამაღლებლად, მისი კონკრეტულობის, მებრძოლურობისა და ქმედითობის გასაძლიერებლად. მაგრამ არ შეიძლება დავეყრდნოთ თვითდინებას, იმას, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება.

მებრძოლი, კონკრეტული, ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა

ტიის XX და განსაკუთრებით XXII ყრილობების შემდეგ განვლილ პერიოდში, განაგრძო მან, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ყოველმხრივი განზოგადების საფუძველზე უდიდესი მუშაობა გასწია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის, სოფლის მეურნეობის განვითარების, პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის დარგში. ახლა ჩვენი პარტია განიხილავს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, რათა გახდეს იგი უფრო ქმედითი და შემტევი, გადაიქცეს კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის ძლავრ დამჭიქარებლად.

ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიური იარაღის მთელ არსენალს ახმარს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას, **ახალი ადამიანის** — კომუნიზმის მშენებლის — აღზრდას. ამის შედეგად, აღნიშნა ორატორმა, შვიდწლედის ოთხ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გავადიდეთ 30 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24 პროცენტისა.

ამხ. პოპოვმა აღნიშნა, რომ იდეოლოგიური მუშაობა გახდა უფრო კონკ

უმნიშვნელოვანესი მოვლენა

ლენინური გზით

სოფია, 19 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთებმა ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენება გამოაქვეყნეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით: „ერთად ერთი სწორი, ლენინური გზით“, „შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ“.

გაზეთმა „ტრუდმა“, როცა ლ. თ. ილიჩოვის მოხსენება გამოაქვეყნა მსხვილი შრიფტით, გამოჰყო მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ სკკპ პროგრამა თანამედროვე საზოგადოებათმეცნიერული აზრის უმაღლესი მიღწევაა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ

ვარშავა, 19 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის პრესა ფართოდ აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, რომელიც ეძღვნება იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს. ყველა გაზეთი აქვეყნებს დღეს ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების“ ვრცელ შინაარსს.

გაზეთი „ჟიცე ვარშავი“ მოხსენების შინაარსს აქვეყნებს სათაურით: „იდეოლოგიური ფრონტი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტია“. ქვესათაურში გაზეთი წერს: პიროვნების კულტის მხილება პარტიის გამარჯვებაა. კომუნიზმი და მშვიდობა განუყოფელია. არ შეიძლება იყოს თანაარსებობა იდეოლოგიაში. ბრძოლა წარმოებს არა ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ადამიანებისათვის.

გაზეთი „ზლოს პრაცი“ სათაურში წერს: „იდეოლოგიის საკითხებში არ შეიძლება იყოს დამამშვიდებელი და კომპრომისები“.

ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების შინაარსი არა ერთხელ გადასცა პოლონეთის ცენტრალურმა რადიომ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ

დელი, 19 ივნისი. (საკდესი). საინფორმაციო ცნობა, რომ მოსკოვში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, გადასცა სრულიად ინდოეთის რადიომ და გამოაქვეყნა დელის პრესამ.

გაზეთები „ტაიმს ოფ ინდია“, „ჰინდუსტან ტაიმსი“ და „სტეიტსმენი“ აქვეყნებენ მოკლე შინაარსს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებისას „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“.

„მშვიდობისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა“.

ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „სტეიტსმენი“ მოხსენების შინაარსს.

„ჰინდუსტან ტაიმსი“ და „სტეიტსმენი“ ხაზს უსვამენ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების იმ სიტყვებს, რომ „მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემები შეუძლებელია განვიხილოთ მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმოიატომური ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლასთან კავშირის გარეშე“.

ინდოეთის პრესა ხაზს უსვამს აგრეთვე მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ პიროვნების კულტის მხილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესანიშნავი მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება იყო.

მშვიდობის გამარჯვებისათვის

ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების შინაარსს რომ აქვეყნებენ, გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს ღონისძიებებს სხვადასხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ბერლინი, 19 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ტელეგრაფიანი ცენტრალური ინფორმაციის ბიუროს თავმჯდომარე მოუთხოვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გუშინდელ მუშაობას და ხაზს უსვამენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმზე განხილულ საკითხს.

„ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწენი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მეცნიერები, მასწავლებლები, ჟურნალისტები და საბჭოთა კავშირის მშრომელი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების შინაარსს ბეჭდავს სათაურით „ხალხი მხარს უჭერს ლენინურ კურსს“. გაზეთი განსაკუთრებით გამოაყოფს მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ „იდეოლოგიური ფრონტი იყო და კვლავ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲒᲐ

ტოკიო, 19 ივნისი. (საკდესი). იაპონიის ყველა დღევანდელი გაზეთი იუწყება, რომ მოსკოვში მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ქვეყნდება პლენუმის დღის წესრიგი და შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებისა „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ბ. ბიკოვსკის ბრძანებით გაუშქეებას. ხომალდმა „ალმოსავლეთი-6“ როგორც კი დაამთავრა 23-ე შემოვლა დედამიწის გარშემო, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა დეპეშა, გადასცა ნიუ-იორკში: „თითქოს უმღერისო ვარსკვლავებს, ვალენტინა ტერეშკოვამ, ამ მწყაზარი სახის ქალიშვილმა, გადაჭრა კოსმოსში ადამიანის ყოფნის ამერიკულ რეკორდს“.

სურათზე: პრაღელები უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ ვ. ბიკოვსკის ფოტოსურათებს. ტელეფოტო ჩტკ-საკდესისა.

ᲒᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐ

(საკდესი). გაზეთ „ბელგრადის გაზეთების მოხსენებით, ადგილას გამოაქვეყნეს ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის შესახებ. გაზეთები „ბორბა“ და „პოლიტიკა“ აქვეყნებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების შინაარსს და მოაყოვთ მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ იდეოლოგიური ფრონტი იყო და არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. გაზეთები ხაზს უსვამენ მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ უეჭველია, ათწლეულმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაადასტურა დიადი ცხოვრებისეული ძალა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპისა.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐ

Ვ. ᲢᲔᲠᲔᲨᲙᲝᲕᲐ — ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲝᲜᲢᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

პარიზი, 18 ივნისი. (საკდესი). ქარხნებისა და ფაბრიკების კვამლშია გახვეული ქალაქი მონტრეი — ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრი საფრანგეთის დედაქალაქის მახლობლად. ათი ათასობით მუშა და მოსამსახურე ცხოვრობს და მუშაობს აქ მანქანათსაშენებელ, ქიმიურ, ლითონგადასამუშავებელ, საფეიქრო და სხვა საწარმოებში.

დღეს დილით, როგორც ყოველთვის, შეიკრიბა ამ ქალაქის მუნიციპალური საბჭო, მაგრამ ჩვეულებრივი არ ყოფილა ამ საბჭოზე განხილული საკითხი: წინადადება ვალენტინა ტერეშკოვასათვის მონტრეის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

მუნიციპალური საბჭოს წევრებმა ეს წინადადება მქუხარე ტაშით მიიღეს და დღეიდან ვალენტინა ტერეშკოვა (ან უბრალოდ — ვალია, როგორც მას სასიყვარულოდ უწოდებს ახლა მილიონობით ფრანგი) მონტრეის საპატიო მოქალაქეა. მას მიანიჭეს აგრეთვე ოქროს მედალი — ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული უმაღლესი ჯილდო.

დიდებულია, ფანტასტიკურია!

საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა ადამიანების ახალი კოსმოსური გმირობის გამო

პრაღა. მთელი ჩეხოსლოვაკია ცხოველად ეხმაურება საბჭოთა გმირის ვალენტინა ტერეშკოვასა და მისი ციური ძმის ვალერი ბიკოვსკის გმირობას. აქ ყველა უაღრესად გულითადად მიესალმება მათ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს. პრაღის პრესა, ისევე როგორც საბჭოთა კოსმონავტების ფრენის პირველ დღეს, კვლავინდებურად უძღვნის მათ სახელოვან საქმეებს პირველ გვერდებს. „ქალიშვილის ღიმილი კოსმოსში“, „კიდევ ერთი რუსული სასწაული“, „ახალი ვარსკვლავი ვარსკვლავებს შორის“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ გაზეთები საქდესის ცნობებს კოსმონავტთა ფრენის შესახებ, სტატიებსა და მრავალ გამოხმაურებას.

ბერლინი. ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ხანგრძლივი ერთად ფრენა დადასტურებაა საბჭოთა კავშირის უდიდესი წარმატებისა კოსმოსის ათვისებაში, განეცხადა საკდესის კორესპონდენტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალურმა მდივანმა გ. გეტნიგმა. ეს შესანიშნავი წარმატებაა, მთელი მსოფლიოს აღტაცება რომ გამოიწვია, ცხადყოფს, თუ რა დაუშრეტელი წყარო აქვს საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას. ეს მაცოცხლებელი წყაროა სოციალისტური წყობილება.

პარიზი. „ვალენტინასა და ვალერის ფრენა გრძელდება“, „კოსმოსური ხომალდებში ყველაფერი სრულ წესრიგზეა“ — ნათქვამია პარიზის გაზეთების პირველ გვერდების დიდ სათაურებში. საფრანგეთის რადიო, ტელევიზია, პრესა უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალს კოსმოსის საბჭოთა დამპყრობლების გმირობას, აუწყებენ თავიანთ მსმენელებს, მაყურებლებს, მკითხველებს, ფრენის დაწვრილებით ამბებს.

გაზეთები „მონდი“ და „კრუა“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გადაჭარბებულია კოსმოსური ფრენის სიმორისა და ხანგრძლიობის ყველა წინანდელი რეკორდი.

ფრანგ სპეციალისტთა აღტაცებას, აღნიშნავს პრესა, იწვევს საბჭოთა კოსმოსური ხომალდების მაღალი ტექნიკური თვისებები და ის ჭეშმარიტად ზღაპრული სიზუსტე, რომლითაც ეს ხომალდები გაიყვანეს ორბიტაზე.

კოსმოსში ქალის გაშვება, წერს „ფრანს-სუარი“, ცხადყოფს, რამდენად სწამთ რუსებს თავიანთი ძალები და თავიანთი ტექნიკა. „კოსმოსში პირველი მამაკაცის, ხოლო შემდეგ პირველი ქალის გაშვება გმირობაა, რომელიც ისტორიაში დარჩება“.

ნიუ-იორკი. ვალენტინა ტერეშკოვამ წარმატებით გადააჭარბა ერთად ყველა ამერიკელი კოსმონავტის მიღწევებს, — იუწყება მოსკოვიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი გ. შაპირო.

კოსმოსში ერთბაშად ორი კოსმონავტის გაშვება, წერს გაზეთი „ბალტიმორ სანი“, ახალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი წარმატებებისა კოსმოსური ხომალდების ტექნიკაში.

ორი საბჭოთა კოსმონავტის გაშვება „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია“ მთავრეზე საბჭოთა კოსმონავტის გაშვების გზაზე — განაცხადა სენატის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის კომისიაში აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორის თანაშემწემ ჰოსერტ სიმენსმა. მან აღნიშნა კოსმოსური პროგრამის დიდი სიზუსტით შესრულება და თქვა, რომ ორი კოსმოსური ხომალდი გაყვანილია თითქმის იდენტურ ორბიტებზე.

ბონი. კოსმოსში პირველი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა კვლავ სენსაციაა, აცხადებს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „რაინიშე პოსტი“. კომენტარში საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ფრენის გამო. საბჭოთა კავშირმა კვლავ ცხადყო, რომ მნიშვნელოვნად უსწრებს ამერიკელებს, ამასთან ორი მარტო თავისი რაკეტების სიმძლავრით. ვაშინგტონის იმედი, რომ მოიგებს ასპარეზობას მთავარეზე გაფრენაში, ილუზორული რჩება.

სწრაფად გამოეხმაურა გამომცემლობა „ნაკადული“ საბჭოთა კოსმონავტების ვალერი ბიკოვსკის და ვალენტინა ტერეშკოვას გმირობას. გუშინ, კოსმოსში ლეგენდარული ფრენის დამთავრებისთანავე, მკითხველმა მიიღო ლამაზად გამოცემული პატარა წიგნი „ისმინე, დედამიწავ!“ (რეკომენდირებული ბუტა ბერულავა).

ჩვენი ახალი კოსმონავტებისადმი მიძღვნილ წიგნში დაბეჭდილია **გიორგი ნატრომვილის** წინასიტყვაობა, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ევგენი ხარაძის** წერილი, ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებული ახალი ლექსებით წარმოდგენილი არიან პოეტები: **გრიგოლ აბაშიძე, შალვა ამისულაშვილი, ხუტა ბერულავა, კალე ბობოხიძე, აკაკი გეწაძე, ვასილ გვეტაძე, კარლო კალაძე, გიორგი კაჭახიძე, ოთარ კუპრავა, მარიჯანი, ალიო მირცხულავა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯანსუდ ნიქაბაძე, ვარლამ უურული, ალეკო შენგელია, ჯანსუდ ჩარკვიანი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი.**

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ჰავანა, 19 ივნისი. (საკდესი). განთავისუფლებული შრომის დიდ დღესასწაულად გადაიქცა კუბის მატანასასის პროვინციის ქალაქ კარდენასის მშრომელთა მიტინგი. მიტინგი გუშინ გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ წყალში ჩაუშვეს 17 ახალი თევზსაჭერი გემი, რომლებიც გემთაშენებელმა ქარხანამ „ვიქტორია დე ხერონმა“ ააგო.

მიტინგზე, რომელშიც ქარხანა „ვიქტორია დე ხერონის“ მუშა-მოსამსახურეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კარდენასის ათასობით მშრომელმა და თევზსაჭერი სკოლების მოსწავლეებმა, სიტყვა წარმოთქვა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა და კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. მისი სიტყვა გადასცეს მთელს კუბაში რადიოთი და ტელევიზიით.

დღეს დიდი სიხარულია ჩვენთან, თქვა ფიდელ კასტრომ. წყალში ვუშვებთ 17 ახალ თევზსაჭერ გემს. ათიოდე თვის წინათ კი, განაგრძო მან, აქ პრაქტიკულად არ იყო გემთაშენებელი ქარხანა. იყო მხოლოდ პატარა გემთშემკეთებელი სახელოსნო, რომელშიც 72 მუშა მუშაობდა. ახლა ეს დიდი ქარხანაა, რომელშიც 470 მუშა მუშაობს.

და აი ამ მოკლე ხნის მანძილზე, დამატებითი კაპიტალის დაუბანდებლად, ძველი მოწყობილობისა და გემების გამოყენებით ქარხნის მუშებმა შესძლეს აეგოთ 17 თანამედროვე თევზსაჭერი გემი.

ეს, ხაზგასმით აღნიშნა ფიდელ კასტრომ, შრომის მაღალი ნაყოფიერების კარგი მაგალითია, წარმოების ზრდისა და ხარჯების შემცირების მაგალითია. დამატებითი კაპიტალდაბანდების გამოუყენებლად აქ ააგეს უფრო მეტი გემი, ვიდრე წინათ შენდებოდა მთელს კუბაში. „აი რას ნიშნავს ვმუშაობდეთ რევოლუციურად, ვმუშაობდეთ სოციალისტურად!“ — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შემდეგ ფიდელ კასტრო შეჩერდა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზატორულ მუშაობას და ხელმძღვანელი წრეების სწორად შერჩევას. დღეს კუბაში, განაგრძო ფიდელ კასტრომ, მშრომელებს აქვთ ფულადი სახსრები, და საჭიროა ვაწარმოოთ გაცილებით მეტი პროდუქტი, რათა შესაძლებლობა გვქონდეს დავაკმაყოფილოთ გაზრდილი მოთხოვნილებანი. ზღვა პროდუქტებით მომარაგების დიდმნიშვნელოვანი წყაროა, აღნიშნა ფიდელ კასტრომ. მიწა ცოტა გვაქვს, ზღვაში კი ჩვენი შესაძლებლობანი განუსაზღვრელია. საჭიროა პირი ვიბრუნოთ ზღვისაკენ, აღვზარდოთ ზღვისადმი სიყვარული ჩვენს თევზსაჭერ სკოლებში, სადაც ახლა უკვე ოთხი ათასი მოსწავლეა, სადაც ყალიბდება კუბელ მეგადფრთა ახალი თაობა.

კუბის კარგი ბაზა აქვს აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისათვის, თქვა პრემიერ-მინისტრმა. ჩვენ ექვს მილიონ სულზე მეტი პირუტყვი გვყავს. მეცხოველეობის განვითარებით და თევზჭერის გადიდებით უზრუნველვყოფთ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების ყველაზე მაღალ დონეს-მსოფლიოში.

შემდეგ კუბის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მატანასასის პროვინციაში, სადაც ეს დიდი შრომითი დღესასწაული ეწყობა, უმოკლეს დროში ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციის ბაზები. კუბის უშიშროების ორგანოებმა სულ რვა დღის განმავლობაში მოსპეს 14 ბანდა.

ახლა კონტრრევოლუციონერები, რომლებიც საზღვარგარეთ გაიქცნენ, ცდილობენ ახალი ბაზები მოაწყონ კუბაზე თავდასასხმელად. დეკ იტონენ მტრებმა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, რომ კუბის რევოლუციას საკმაო სახსრები აქვს ყველა მტრის გასანადგურებლად, საიდანაც არ უნდა გამოჩნდნენ ისინი.

მალე ვიდღესასწაულებთ ჩვენი რევოლუციის მეხუთე წლისთავს, თქვა დასასრულ ფიდელ კასტრომ, ვიდღესასწაულებთ რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავსაც, ჩვენი მტრები, სამშობლოს მოღალატენი, დაიხოცებიან, დაიხოცებიან უსახელოდ.

სიტყვის დამთავრების შემდეგ ფიდელ კასტრო გაემართა გემებისაკენ, რომლებიც გამზადებული არიან წყალში ჩასაშვებად. ტრადიციის მიხედვით მან გემების ქიმებზე გატეხა ბოთლები, შამპანურით კი არა, არამედ ზღვის წყლით სავსე ბოთლები. ეს წყალი მოიტანეს ყოველი კუბელისათვის წმიდათა წმინდა ადგილიდან — პლაია-ხირონის ნაპირებიდან, სადაც რევოლუციურმა ხალხმა საბოლოოდ გაანადგურა იმპერიალიზმის დაჭერაგებულნი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში გემები ნელ-ნელა ეშვებიან ზღვაში. მალე ისინი გადასერავენ ზღვის სივრცეებს, ახალ სახელოვან შრომითს ფურცლებს ჩასწერენ კუბის რევოლუციის ისტორიაში.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). ამერიკის ყველა ოფიციალური ორგანოს ინფორმაციით, ამერიკელ ასტრონავტ-ექვსეულის ალან შეპარდის ფრენა ოთხ საათს ერევა ერთ-ერთ ამერიკულ რეკორდს. ეს ფრენა ამერიკელ ასტრონავტ-ექვსეულ